



შპს ორბიტალი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ორბიტალის დირექტორი: ბეკა აბაშიძე


ფინანსური დირექტორი: ზურაბ მიქაშვილი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან არასაოპერაციო შემოსავალი	2,187,331	1,456,019	436,703
სულ შემოსავალი	2,187,331	1,456,019	436,703
დასაქმებულთა ანაზღაურება	(367,582)	(410,720)	(385,493)
იჯარის ხარჯი	-	-	-
საკონსულტაციო ხარჯი	-	-	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(330,208)	(225,922)	(121,051)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(421,399)	(414,280)	(141,738)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(36,906)	(15,374)	(11,372)
სულ ხარჯი	(1,156,094)	(1,066,296)	(659,654)
მოგება დაბეგრამდე	1,031,237	389,722	(222,951)
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება	1,031,237	389,722	(222,951)
სხვა სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული შემოსავალი	1,031,237	389,722	(222,951)

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.


შპს ორბიტალის დირექტორი: ბექა აბაშიძე


ფინანსური დირექტორი: ზურაბ მიქაშვილი

ფინანსური მდგომარეობა

აქტივები

მიმდინარე აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

სავაჭრო მოთხოვნები

გადახდილი ავანსები

სასესხო მოთხოვნები

სხვა მიმდინარე აქტივები

სულ მიმდინარე აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

არამატერიალური აქტივები

სულ გრძელვადიანი აქტივები

სულ აქტივები

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

სულ საკუთარი კაპიტალი

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

2024

ლარი

2023

ლარი

2022

ლარი

23,990

25,017

133,011

718,574

104,967

23,992

1,711

5,422

27,934

329,289

596,018

360,157

1,073,565

731,424

545,094

25,401

7,141

17,366

1,445,354

834,701

543,395

1,470,755

841,842

560,761

2,544,320

1,573,266

1,105,855

201,515

259,947

209,020

-

1,062

-

15

703

3

201,530

261,713

209,023

1,570,255

1,570,255

1,545,255

772,535

(258,702)

(648,423)

2,342,790

1,311,554

896,832

2,544,320

1,573,266

1,105,855

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობა

	<u>2024</u>	<u>2023</u>	<u>2022</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება	1,068,143	405,097	(211,579)
ცვეთა და ამორტიზაცია	330,208	225,922	121,051
დებიტორული დავალიანების ზრდა/შემცირება	(613,608)	(80,974)	(1,330)
მარაგების ზრდა/შემცირება	266,728	(235,861)	(105,684)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/შემცირება	(81,957)	39,829	(13,441)
გაცემული ავანსების ზრდა/შემცირება	25,470	35,372	(2,796)
მიღებული ავანსების ზრდა/შემცირება	15	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	994,999	389,384	(213,779)
ძირითადი საშუალების შეძენა	(959,120)	(508,190)	(397,634)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	1,187	1,197
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(959,120)	(507,003)	(396,437)
ფინანსური საქმიანობა - გაცემული დივიდენდი	-	-	-
კაპიტალი	-	25,000	495,000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	25,000	495,000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	35,879	(92,619)	(115,217)
სავალუტო კურსის ეფექტი	(36,906)	(15,374)	(11,372)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	25,017	133,010	259,599
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	23,990	25,017	133,010

შპს ორბიტალის დირექტორი: ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: ზურაბ მიქაშვილი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	1,311,553	896,831	624,781
საწესდებო კაპიტალი	-	25,000	495,002
გაუნაწილებელი მოგება	1,031,237	389,722	(222,952)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	2,342,790	1,311,553	896,831

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს "ორბიტალი" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 11/10/2019). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანდრია აფაქიძის ქ., N 5, სადარბაზო 2, სართული 13, ბინა N160. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით ონლაინ თამაშების შექმნა და მისი მიწოდება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ონლაინ კაზინოებისთვის მიწოდება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

- 2.1. წინამდებარე ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
- 2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი დარიცხვის მეთოდი დაცულია.
- 2.3. გათვალისწინებულია მის ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. ამ მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.
- 2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).
- 2.5. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
- 2.6. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის;

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:**შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც ეხება მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს, საწარმოების მოგების გადასახადი გადავადდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- ა) განაწილებული მოგება;
- ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული

მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

ამასთანავე კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვირტუალური ზონის საწარმოს სტატუსის მფლობელს და დაგენერირებული მოგება განაწილების სურვილის შემთხვევაში არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

კომპიუტერული ტექნიკა	3
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
მობილური ტელეფონები	2
სხვა ძირითადი საშუალებები	5

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს სავაჭრო ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება, თუ არ ხდება სახელშეკრულებო პირობების დარღვევა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც

ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.

იჯარა

იჯარა მოიცავს საოფისე ფართის ქირას, რომელიც მიღებულია ჩვეულებრივი საიჯარო პირობებით და აღირიცხება საოპერაციო იჯარის პრინციპით.

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები მოიცავს საპროცენტო შემოსავლებსა და სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ ეფექტს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ლარი საბანკო ანგარიშზე	21,629.40 ლ	10,538.57 ლ	2,364.06 ლ
ევრო საბანკო ანგარიშზე	€ 8,643.49 €	4,418.87 €	45,284.52
დოლარი საბანკო ანგარიშზე	\$ 288.16 \$	495.01 \$	10.32

3.2. გაცემული მიმდინარე სესხი:

	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
გაცემული სესხი	-	-	-
3.3. სავაჭრო მოთხოვნები			
	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	718,574.43	104,967.00	23,992.00
2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს.			
3.4. გადახდილი ავანსები			
	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0.06	0.06	0.06
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	5,422.00	22,757.00
3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:			
	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
მარაგები	4,194.16	4,194.16	4,628.00
დაუსრულებელი თამაშები	325,095.28	591,824.00	355,529.00
3.6. ძირითადი საშუალებები			
	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
პირვანდელი ღირებულება	88,224.82	58,088.00	62,050.00
დაგროვილი ცვეთა	(62,824.03)	(50,948.00)	(44,684.00)
სულ	<u>25,400.79</u>	<u>7,140.00</u>	<u>17,366.00</u>
3.7. სხვა გრძელვადიანი აქტივები			
	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
არამატერიალური აქტივები პირველადი ღირებულებით	2,117,385.99	1,188,402.25	684,525.52
დაგროვილი ცვეთა	(672,032.12)	(353,700.99)	(141,130.67)
სულ	<u>1,445,353.87</u>	<u>834,701.26</u>	<u>543,394.85</u>
3.8. სავაჭრო ვალდებულებები:			
	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	201,049.72	259,344.00	209,020.00
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	465.06	602.00	351.00
3.9. საგადასახადო ვალდებულებები			
	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
გადასახდელი გადასახადები	-	1,062.00	-

3.10. საკუთარი კაპიტალი

	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
კაპიტალი	1,570,255.06	1,570,255.06	1,545,255.00
გაუნაწილებელი მოგება	772,536.00	(258,701.00)	(648,423.00)
სულ	<u>2,342,791.06</u>	<u>1,311,554.06</u>	<u>896,832.00</u>

3.11. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	36,905.94	15,374.00	11,372.00

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2025 წლის 30 სექტემბერს.